სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
ხელშეკრულება N6.2.14.14/10/150

ქ. თბილისი

31 დეკემბერი 2013 წელი

ერთი მხრივ, ქ. თბილისის კრწანისის რაიონის გამგეობა (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი მისი გამგეგლის დროებითი მოვალეობის შემსრულებლის ხათუნა ბერძენიშვილის სახით და მეორეს მხრივ, ა(ა)იპ ქალთა საქველმოქმედო ფონდი „ვიქტორია" (ს/ნ 206 041 709) (შემდგომში „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი მისი პრეზიდენტის ვიქტორია მიქავას მინდობილი პირის რეზო ალადაშვილის (პ/ნ 40001005894; რწმუნებულება N131233901, 25.11.2013წ.) სახით საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და მისი გათვალისწინებით, შეთანხმდნენ შემდეგზე:

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტისა და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის" მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, შემსყიდველმა განახორციელა ქ. თბილისის კრწანისის რაიონის ტერიტორიაზე (ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებულ ფართში) მცხოვრები უმწეო მოქალაქეთა (453 ბენეფიციარზე) უფასო სასადილოებით მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა, რომლის თანახმად მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული ობიექტი შემდეგ თანხაზე: 4375,98 (ოთხიათასსამასსამოცდათხუთმეტიდა ოთხმოცდათვრამეტი) ლარი, ყველა გადასახადის ჩათვლით (შემდგომში „ხელშეკრულების ღირებულება").

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - „ხელშეკრულება") - შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები;

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ „შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 „მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელიც ახორციელებს მომსახურებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 „დღე", „კვირა", „თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. შესყიდვის ობიექტი და კლასიფიკატორის კოდი

2.1 ხელშეკრულების შესყიდვის ობიექტია - ქ. თბილისის კრწანისის რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრები უმწეო მოქალაქეთა უფასო სასადილოებით მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა;

2.2 კლასიფიკატორის (CPV) კოდი: 55500000 - სასადილოებისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოების მომსახურება;

2.3. შესყიდვის ობიექტის მისამართია - ფონიჭალის დასახლება 3, (ნაკვ.024/027)

3. მომსახურების გაწევის ვადა და პირობები

3.1 მომსახურების გაწევის ვადა, ადგილი და პირობები განისაზღვრება წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 4375,98 (ოთხიათასსამასსამოცდათხუთმეტიდა

ოთხმოცდათვრამეტი) ლარს;

3.3 მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულებით და სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილ მოთხოვნებს.

3.4 მომსახურების გაწევის ვადაა 2014 წლის პირველი იანვრიდან - 2014 წლის 14 იანვრის ჩათვლით - ყოველდღიურად.

4. მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობა

4.1. მომსახურების გაწევისას შესაბამისი სტანდარტების, ხარისხის, ნორმების დაცვაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მიმწოდებელს.

4.2. მიმწოდებელი პასუხს აგებს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების დაცვაზე, მათ შორის ტექნიკური უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის უზრუნველსაყოფად შესაბამისი ზომების მიღებაზე, მომსახურების გაწევისას გამოყენებული ან გამოსაყენებელი მასალის, აღჭურვილობის, მექანიზმების უსაფრთხოებაზე, მათი დაკარგვის ან გაუმართაობის შედეგად გამოწვეული ზიანის ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს.

5. მომსახურების გაწევა

5.1 მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს სასადილოს მიერ საკვების ბენეფიციარებზე გაცემა დღეში მინიმუმ 4 საათის განმავლობაში, 16:00 საათამდე. მომსახურების გაწევის ვადაში არ შედის საკვების მომზადებისთვის საჭირო დრო.

5.2 მიმწოდებელმა საკვები ულუფები უნდა გასცეს გამგეობის მიერ ოფიციალურად გადაცემული ბენეფიციართა ძირითადი და დამატებითი სიების მიხედვით და გაცემისას უზრუნველყოს ბენეფიციართა აღრიცხვა დანომრილ, აკინძულ, ზონარგაყრილ და გამგეობის ბეჭდითა და გამგეობის ხელმოწერით დამოწმებულ ჟურნალში. ჟურნალში ულუფის მიღების შემდეგ ხელმოწერა შეიძლება განახორციელონ თავად ბენეფიციარებმა ან, შეუძლებლობის შემთხვევაში, ბენეფიციარის გრაფაში სპეციალური აღნიშვნა უნდა გააკეთოს შემსყიდველის წარმომადგენელმა, დასწრების შემთხვევაში, ან მიმწოდებლის წარმომადგენელმა.

5.3 შესაბამისი კომპიუტერული პროგრამის დანერგვის და გამგეობის მიერ სასადილოსათვის სათანადო კომპიუტერული და ტექნიკური აღჭურვილობის მიწოდების შემთხვევაში, მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს სასადილოში ბენეფიციართა გამოცხადებისა და მათ მიერ მომსახურების მიღების აღრიცხვის წარმოება ელექტრონულად, აღნიშნული პროგრამით.

5.4 კვების პროდუქტების მიწოდების, შენახვისას, საკვების დამზადებისას და გაცემისას მიმწოდებელმა უნდა დაიცვას სანიტარული და ჰიგიენური ნორმები, მალფუჭებადი პროდუქტების მიწოდება უნდა მოხდეს ყოველდღიურად, სასადილომ უნდა გამოიყენოს მხოლოდ ახალი და ხარისხიანი პროდუქცია, ბენეფიციარებზე უნდა გაიცეს მიწოდების დღეს დამზადებული სადილი.

5.5 მენიუსა და მომსახურების გრაფიკში ცვლილების შეტანა დაუშვებელია, გარდა გამონაკლისისა, რაც წინასწარ წერილობით უნდა შეთანხმდეს შემსყიდველთან და გათვალისწინებულ უნდა იქნეს ანგარიშსწორებისას.

5.6 ქ. თბილისის კრწანისის რაიონის გამგეობა უფლებამოსილია ჩაანაცვლოს ქ. თბილისის მთავრობის 2012 წლის 4 დეკემბრის N33.46.1204 დადგენილებით დამტკიცებული მენიუთი განსაზღვრული კერძები შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების გაზრდის გარეშე.

5.7 სასადილოში ბენეფიციართათვის თვალსაჩინო ადგილას მიმწოდებლის მიერ განთავსებული უნდა იყოს ყოველდღიური მენიუ და სასადილოს სამუშაო საათები. საკვების გაცემა უნდა მოხდეს მენიუთი განსაზღვრული ულუფის წონის/მოცულობის შესაბამისად სასწორისა და ზუსტი მოცულობის განმსაზღვრელი ჭურჭლის მეშვეობით.

5.8 სასადილო უნდა აკმაყოფილებდეს სანიტარულ-ჰიგიენურ პირობებს, აღჭურვილი უნდა იყოს სველი წერტილით, რომლითაც ბენეფიციარებს შეეძლებათ სარგებლობა.

5.9 შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისათვის ნებისმიერი ქონების, მათ შორის ტექნიკური და კომპიუტერული აღჭურვილობის, გადაცემა არ იწვევს მიმწოდებლის საკუთრების უფლების წარმოშობას აღნიშნულ ქონებაზე. მიმწოდებელი პასუხს აგებს ქონების დაცვაზე და მისი გამოყენებისას უსაფრთხოების ნორმების დაცვაზე, ვალდებულია ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტისთანავე დაუბრუნოს შემსყიდველს მის მიერ გადაცემული ქონება იმავე მდგომარეობაში, რომელშიც მისგან მიიღო, ნორმალური ცვეთის გათვალისწინებით.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ ნებისმიერ დროს განახორციელონ მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი და განახორციელონ მომსახურების ხარისხის პერიოდული ინსპექტირება, რომელიც შეეხება სასადილოს ფუნქციონირებასთან და მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს. ინსპექტირების თაობაზე დგება შემოწმების ოქმი, სადაც აისახება ინსპექტირების შედეგები, რომელსაც ხელს აწერენ ინსპექტირების ჯგუფის წევრები და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენელი.

6.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

6.3 შემსყიდველი შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი წუნდების შესახებ გონივრულ ვადაში წერილობით აცნობებს მიმწოდებელს შესაბამისი მიზეზის მითითებით. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტი ან ნაკლი.

6.4 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ გამგეობის უფლებამოსილი თანამშრომლები.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება ეტაპობრივად, ხელშეკრულების დანართით განსაზღვრული ფორმით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით (შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილ პირებს წარმოადგენენ წინამდებარე ხელშეკრულების მე-6 მუხლის 6.4 პუნქტით განსაზღვრული პირები), მომსახურების გაწევის ყოველი თვის დასრულები შემდეგ.

7.2 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

8. ანგარიშსწორება

8.1 შემსყიდველის მიერ წინასწარი ანგარიშსწორება არ განხორციელდება.

8.2. ანგარიშსწორება მოხდება ლარებში.

8.3 გადახდის ფორმა – უნაღდო.

8.4 თითოეულ ეტაპზე შესრულების მიღებასთან დაკავშირებით მიღება–ჩაბარების აქტის გასაფორმებლად მიმწოდებელმა დოკუმენტურად დადასტურებული ფორმით უნდა წარმოადგინოს შემდეგი ინფორმაცია:

ა) სასადილოში დამზადებული/შემოტანილი მენიუთი განსაზღვრული ულუფების დღიური რაოდენობა;

ბ) საანგარიშსწორებო პერიოდში სასადილოს მომსახურების მიწოდების დღეების რაოდენობა;

გ) ხელშეკრულებით განსაზღვრული ერთი ბენეფიციარის დღიური კვების ღირებულება;

დ) ანგარიშსწორებისთვის მოთხოვნილი თანხა (ამ პუნქტის ა, ბ და გ ქვეპუნქტების ნამრავლი);

ე) შემსყიდველის ინსპექტირების ჯგუფის თანდასწრებით, ბენეფიციართა უმრავლესობის ხელმოწერილი წერილი, რომლითაც დასტურდება, რომ შესაბამის პერიოდში მიწოდებული ულუფების შემადგენელი კერძები, რაოდენობა და მოცულობა შეესაბამება მენიუთი გათვალისწინებულს.

8.5 ინსპექტირების აქტებით რაიმე დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია მიმწოდებლისგან მოითხოვოს შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტაციაც.

8.6 მიმწოდებლის მიერ ბენეფიციარზე დღიური ულუფით გათვალისწინებული ნაწილის მიუწოდებლობა ან ნაკლები რაოდენობით/მოცულობით მიწოდება განიხილება სრული ულუფის მიუწოდებლობად, რაც შესაბამისად უნდა აისახოს მიღება-ჩაბარების აქტში.

9. ფასები

9.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

9.2შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს **4375,98** (ოთხიათასსამასსამოცდათხუთმეტიდა ოთხმოცდათვრამეტი) ლარს;

9.3 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

9.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი

ინფორმაცია.

10.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

10.4 ხელშეკრულებაში ცვლილების განხორციელებას არ საჭიროებს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების დანართში მოცემული ხარჯთაღრიცხვით განსაზღვრულზე ნაკლები ანაზღაურების მოთხოვნა, ასეთ შემთხვევაში, დაუშვებელია ხარჯთაღრიცხვის მთლიანი ღირებულების შემცირება მისი შემადგენელი სხვა პუნქტების ფასების გაზრდის ან/და ახალი პუნქტ(ებ)ის ჩამატების ხარჯზე.

10.5 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10.6 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის ინიცირების შემთხვევაში, იგი ვალდებულია შემსყიდველს წარუდგინოს შესაბამისი დეტალური დასაბუთება წარილობით, მათ შორის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების არსებობის შესახებ.

10.7 მხარეებმა ხელშეკრულებაში მითითებული ნებისმიერი რეკვიზიტის ცვლილების შესახებ წერილობით უნდა აცნობონ ერთმანეთს. აღნიშნული არ საჭიროებს ხელშეკრულებაში შესაბამისი ცვლილების განხორციელებას.

11. უფლებების გადაცემა

11.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი უფლება-მოვალეობები მესამე პირს.

11.2 მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს წარუდგინოს წერილობითი განცხადება მესამე პირისთვის მთლიანი ან დარჩენილი უფლება-მოვალეობების გადაცემის თაობაზე, აგრეთვე მესამე პირის წერილობითი თანხმობა ხელშეკრულებით განსაზღვრული მთლიანი ან დარჩენილი ვალდებულებების შესრულების თაობაზე.

11.3 შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში უფლება-მოვალეობების გადაცემა (მთლიანად ან ნაწილობრივ) ფორმდება წერილობითი სახით შემსყიდველს, მიმწოდებელსა და მესამე პირს შორის.

12. სუბკონტრაქტორები

12.1 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

12.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

12.3 ცალკეული მასალის ან/და მოწყობილობა-დანადგარების შეძენის ან/და მონტაჟის მიზნით დადებული ხელშეკრულებები ამ ხელშეკრულების მიზნებიდან გამომდინარე არ ჩაითვლება სუბკონტრაქტად.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.

13.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 1%-ის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 100 ლარისა.

13.3 ბენეფიციართათვის მომსახურების გაწევის დღის გამოტოვების შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,1%–ის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 1000 ლარისა, თითოეული დღისთვის.

13.4 თუ მიმწოდებელი შემსყიდველის მიერ მომდევნო ანგარიშსწორებამდე არ უზრუნველყოფს დაკისრებული პირგასამტეხლოს დაფარვას, შემსყიდველი მიმწოდებელთან მომდევნო ანგარიშსწორებისას უზრუნველყოფს შესაბამისი თანხის სრულად გადახდას და ამასთან მიმწოდებლის კუთვნილი თანხიდან პირგასამტეხლოს ოდენობის თანხის დაკავებას და შესაბამის სახაზინო კოდზე მიმართვას, რაც მიმწოდებელს ჩაეთვლება პირგასამტეხლოს გადახდად. თუ ასანაზღაურებელი თანხა სრულად არ ფარავს პირგასამტეხლოს თანხას, უნდა განხორციელდეს დარჩენილი თანხის მოთხოვნა მიმწოდებლისგან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13.5 თუ მიმწოდებელს პირგასამტეხლოს გადახდა ეკისრება მასთან საბოლოო ანგარიშსწორების შემდეგ, პირგასამტეხლოს თანხა გადახდილ უნდა იქნეს 30 კალენდარული დღის ვადაში.

13.6 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

14.1 შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება, ასევე დააკისროს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად:

ა) თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;

ბ) თუ მიმწოდებელი სისტემატიურად და/ან უხეშად არღვევს ხელშეკრულების პირობებს;

გ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ე) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

ვ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბია;

ზ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

14.2 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში არ შეუძლია გაწიოს მომსახურება ან მომსახურების ნაწილი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება.

14.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14.4 მიმწოდებლის მიერ ვადამდე ხელშეკრულების შეწყვეტის მოთხოვნა, განიხილება როგორც ვალდებულების შეუსრულებლობა და შემსყიდველი, საბანკო გარანტიის არსებობის შემთხვევაში, უფლებამოსილია გამოიყენოს წარმოდგენილი საბანკო გარანტია სრულად, ხოლო თუკი ხელშეკრულების შესრულების უზრუნველსაყოფად არ გამოიყენება საბანკო გარანტია, მიმწოდებელი ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო ხელშეკრულების დარჩენილი ღირებულების 2% ოდენობით. აღნიშნულის შემდეგ ხელშეკრულების მოქმედება წყდება.

14.5 მე-15 მუხლის 15.1 და 15.2 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიობრივად გაწეული მომსახურების ღირებულება.

15. ფორს-მაჟორი

15.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის გამოყენებას ან დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

15.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

16. სადავო საკითხების გადაწყვეტა

16.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

16.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს სასამართლოს.

17. ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის

17.1 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს

წერილობით ფორმას. წერილობითი გზავნილის მხარისათვის ჩაბარება უნდა მოხდეს ფოსტის საშუალებით. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისთვის მიწოდება დეპეშის, ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

17.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

18. გადასახადები და დაბეგვრა

18.1 უცხოელი მიმწოდებელი პასუხს აგებს მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში და მის გარეთ.

18.2 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულების პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

19. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2014 წლის 17 თებერვლის ჩათვლით.

20. სხვა პირობები

20.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

20.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

20.3 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

20.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ერთი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი, მაშინ მეორე ეგზემპლარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

20.4 გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება და დანართები თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

20.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

21. მხარეთა რეკვიზიტები

| შემსყიდველი | მიმწოდებელი |
|---|---|
| ქ. თბილისის კრწანისის რაიონის გამგეობა | ა(ა)იპ ქალთა საქველმოქმედო ფონდი „ვიქტორია“ |
| მის: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N 115 | მის: ქ. თბილისი, ვეძინის ქ. 16 |
| საიდენტიფიკაციო ნომერი: 204521776 | საიდენტიფიკაციო ნომერი: 206 041 709 |
| საბანკო რეკვიზიტები: | საბანკო რეკვიზიტები: |
| სს „ლიბერთი ბანკი“–ს ც/ფილიალი | სს „საქართველოს ბანკი“ |
| ანგარიშის NGE95LB0125152101627000 | ანგარიშის NGE85BG0000000274660600 |
| ბანკის კოდი: 220101480 | ბანკის კოდი: BAGAGE22 |
| ქ. თბილისის კრწანისის რაიონის გამგეობლის დ/მ/შ | პრეზიდენტის მინდობილი პირი |
| ხათუნა ბერძენიშვილი ---------- | რეზო ალადაშვილი ---------- |
| (ტელ: 237-87-31) | (ტელ: 551-75-77-55) |

უფასო სასადილოს მდებარეობა - ფონიჭალის დასახლება 3, (ნაკვ.024/027)
ბენეფიციართა რაოდენობა – 453 ბენეფიციარი

| ზამთრის სეზონის მენიუ (წლის I თვე) | | | |
|---|---|---|---|
| № | ორშაბათი | ერთ მოქალაქეზე გრამებში | ერთ მოქალაქეზ ე კგ.რამებში |
| | ბორშჩი ვეგეტარიანული | | |
| 1 | კომბოსტო | 100,0 | 0,1 |
| 2 | ჭარხალი | 85,0 | 0,085 |
| 3 | ხახვი | 12,0 | 0,012 |
| 4 | სტაფილო | 25,0 | 0,025 |
| 5 | კარტოფილი | 67,0 | 0,067 |
| 6 | ტომატ-პასტა | 5,0 | 0,005 |
| 7 | მცენარეული ცხიმი | 8,0 | 0,008 |
| 8 | მწვანილი | 7,0 | 0,007 |
| 9 | მარილი | 1,0 | 0,001 |
| | ლობიო ამოლესილი | | |
| 1 | ლობიო | 80,0 | 0,08 |
| 2 | ხახვი | 10,0 | 0,01 |
| 3 | ზეთი | 5,0 | 0,005 |
| 4 | მწვანილი | 5,0 | 0,005 |
| 5 | ნიორი | 2,0 | 0,002 |
| 6 | მარილი | 2,0 | 0,002 |
| 7 | სუნელები | 0,5 | 0,0005 |
| | კომპოტი ხილის | | |
| 1 | ვაშლი | 40,0 | 0,04 |
| 2 | შაქარი | 15,0 | 0,015 |
| 1 | პური | 250,0 | 0,25 |

| № | სამშაბათი | ერთ მოქალაქეზე გრამებში | ერთ მოქალაქეზე კგრამებში |
|---|---|---|---|
| | მაწვნის შეჭამანდი | | |
| 1 | ხახვი | 12,0 | 0,012 |
| 2 | მაწონი | 20,0 | 0,02 |
| 3 | ბრინჯი | 30,0 | 0,03 |
| 4 | კვერცხი ცალობით | 0,15 | |
| | მცენარეული ცხიმი | 5,0 | 0,005 |
| 6 | ნიორი | 1,0 | 0,001 |
| 7 | მარილი | 1,00 | 0,001 |
| | შერიის ფანტელის "ჰერკულესის" ფაფა | | |
| 1 | "ჰერკულესი" | 50,0 | 0,05 |
| 2 | რძის ფხვნილი | 10,0 | 0,01 |
| 3 | მცენარეული ცხიმი | 5,0 | 0,005 |
| 4 | მარილი | 1,0 | 0,001 |
| | კაკაო | | |
| 1 | კაკაო ფხვნილი | 5,0 | 0,005 |
| 2 | შაქარი | 15,0 | 0,015 |
| 3 | რძის ფხვნილი | 10,0 | 0,01 |

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | პური | 250,0 | 0,25 |

| № | ოთხშაბათი | ერთ მოქალაქეზე | ერთ მოქალაქეზე |
|---|---|---|---|
| | ბარდის წვნიანი | | |
| 1 | ბარდა | 65,0 | 0,065 |
| 2 | ხახვი | 8,0 | 0,008 |
| 3 | სტაფილო | 12,0 | 0,012 |
| 4 | მწვანილი | 3,0 | 0,003 |
| 5 | მცენარეული ცხიმი | 6,0 | 0,006 |
| 6 | ნიორი | 1,0 | 0,001 |
| 7 | მარილი | 2,0 | 0,002 |
| | წიწიბურას ფაფა | | |
| 1 | წიწიბურა | 50,0 | 0,05 |
| 2 | ზეთი | 10,0 | 0,01 |
| 3 | მარილი | 1,0 | 0,001 |
| | | | |
| | კისელი | | |
| 1 | კისელი (ფხვნილი) | 10,0 | 0,01 |
| 2 | შაქარი | 5,0 | 0,005 |
| 1 | პური | 250,0 | 0,25 |

| № | ხუთშაბათი | ერთ მოქალაქეზე გრამებში | ერთ მოქალაქეზე კგრამებში |
|---|---|---|---|
| | წვნიანი ხორცის გუფთებით | | |
| 1 | ხორცი | 52,0 | 0,052 |
| 2 | ხახვი | 12,0 | 0,012 |
| 3 | მწვანილი | 5,0 | 0,005 |
| 4 | ბრინჯი | 25,0 | 0,025 |
| 5 | ტომატ-პასტა | 5,0 | 0,005 |
| 6 | ზეთი | 5,0 | 0,005 |
| 7 | ნიორი | 2,0 | 0,002 |
| 8 | სუნელები | 0,35 | 0,00035 |
| 9 | მარილი | 2,0 | 0,002 |
| 10 | შაქი წიწაკა | 0,35 | 0,00035 |
| 11 | კვერცხი ცალობით | 0,15 | |
| | ბრინჯის ტკბილი ფლავი ქიშმიშით | | |
| 1 | ბრინჯი | 40,0 | 0,04 |
| 2 | შაქარი | 10,0 | 0,01 |
| 3 | ქიშმიში | 10,0 | 0,01 |
| 4 | ცხოველური ცხიმი | 8,0 | 0,008 |
| 5 | მარილი | 1,0 | 0,001 |
| | კომპოტი ხილის | | |
| 1 | ვაშლი | 40,0 | 0,04 |
| 2 | შაქარი | 15,0 | 0,015 |
| 1 | პური | 250,0 | 0,25 |
| | | | |

| № | პარასკევი | ერთმოქალაქეზე გრამებში | ერთ მოქალაქეზე კგრამებში |
|---|---|---|---|
| | მაკარონის ან ვერმიშელის წვნიანი | | |
| 1 | მაკარონი ან ვერმიშელი | 25,00 | 0,025 |
| 2 | კარტოფილი | 30,00 | 0,03 |
| 3 | მცენარეული ცხიმი | 4,00 | 0,004 |

| | | | |
|---|---|---|---|
| 4 | ტომატ-პასტა | 5,00 | 0,005 |
| 5 | სტაფილო | 12,00 | 0,012 |
| 6 | ხახვი | 8,00 | 0,008 |
| 7 | ნიორი | 1,00 | 0,001 |
| 8 | მწვანილი | 3,00 | 0,003 |
| 9 | მარილი | 1,00 | 0,001 |
| 10 | სუნელები | 0,20 | 0,0002 |
| | მოხარშული კარტოფილი (პიურე) ხახვით | | |
| 1 | კარტოფილი (პიურე) | 275,0 | 0,275 |
| 2 | ხახვი | 36,0 | 0,036 |
| 3 | მცენარეული ცხიმი | 8,0 | 0,008 |
| 4 | მწვანილი | 7,0 | 0,007 |
| | კომპოტი ხილის | | |
| 1 | ხილი ან ჩირი | 40,0 | 0,04 |
| 2 | შაქარი | 15,0 | 0,015 |
| 1 | პური | 250,0 | 0,25 |

| № | შაბათი | ერთ მოქალაქეზე გრამებში | ერთ მოქალაქეზე კგრამებში |
|---|---|---|---|
| | ქათმის ბულიონი | | |
| 1 | ქათმის ბარკალი | 100,0 | 0,100 |
| 2 | სტაფილო | 5,0 | 0,005 |
| 3 | ხახვი | 8,0 | 0,008 |
| 4 | ნიორი | 1,0 | 0,001 |
| 5 | მწვანილი | 5,0 | 0,005 |
| 6 | ბრინჯი | 25,0 | 0,025 |
| 7 | მარილი | 2,0 | 0,002 |
| | შილა ფლავი | | |
| 1 | ხორცი (ჩათუშული) | 15,0 | 0,015 |
| 2 | ბრინჯი | 30,0 | 0,03 |
| 3 | სუნელები | 0,4 | 0,0004 |
| 4 | მარილი | 2,0 | 0,002 |
| | ჩაი | | |
| 1 | ჩაი | 1,0 | 0,001 |
| 2 | შაქარი | 10,0 | 0,01 |
| 3 | ლიმონი | 1,0 | 0,001 |
| 1 | პური | 250,0 | 0,25 |

| № | კვირა | ერთ მოქალაქეზე გრამებში | ერთ მოქალაქეზე კგრამებში |
|---|---|---|---|
| | ვერმიშელის წვნიანი | | |
| 1 | ვერმიშელი | 25 | 0,025 |
| 2 | კარტოფილი | 30 | 0,03 |
| 3 | მცენარეული ცხიმი | 4 | 0,004 |
| 4 | სტაფილო | 12 | 0,012 |
| 5 | ხახვი | 8 | 0,008 |
| 6 | ტომატ-პასტა | 5 | 0,005 |
| 7 | მარილი | 1 | 0,001 |
| 8 | მწვანილი | 3 | 0,003 |
| | მანანის ფაფა | | |
| 1 | მანანის ბურღული | 25,0 | 0,025 |
| 2 | ცხოველური ცხიმი | 5,0 | 0,005 |
| 3 | რძის ფხვნილი | 10,0 | 0,01 |
| 4 | შაქარი | 10,0 | 0,01 |

206041709

| | | | |
|---|---|---|---|
| 5 | მარილი | 1,0 | 0,001 |
| | მოხარშული კვერცხი | | |
| 1 | კვერცხი ცალობით | 1,0 | |
| | ხილი | | |
| 1 | ხილი | 40,0 | 0,04 |
| 1 | პური | 250,0 | 0,25 |

ზამთრის მენიუთი განსაზღვრული ულუფების
წონა/მოცულობა

| | |
|---|---|
| <u>ორშაბათი</u><br>1. ბორშჩი ვეგეტარიანული - 450 გ<br>2. ლობიო ამოლესილი - 200 გ<br>3. კომპოტი ხილის - 40/200 გ<br>4. პური ხორბლის - 250 გ | <u>სამშაბათი</u><br>1. მაწვნის შეჭამანდი - 450 გ<br>2. შვრიის ფანტელის (ჰერკულესი) ფაფა - 250 გ<br>3. კაკაო რძით - 200 გ<br>4. პური ხორბლის - 250 გ |
| <u>ოთხშაბათი</u><br>1. ბარდის წვნიანი - 450 გ<br>2. წიწიბურას ფაფა - 200 გ<br>3. კისელი - 200 გ<br>4. პური ხორბლის - 250 გ | <u>ხუთშაბათი</u><br>1. წვნიანი ხორცის გუფთებით - 450 გ<br>2. ბრინჯის ტკბილი ფლავი ქიშმიშით - 250 გ<br>3. კომპოტი ხილის - 200 გ<br>4. პური ხორბლის - 250 გ |
| <u>პარასკევი</u><br>1. მაკარონის ან ვერმიშელის წვნიანი - 450 გ<br>2. მოხარშული კარტოფილი (პიურე) ხახვით- 200 გ<br>3. კომპოტი ხილის - 200 გ<br>4. პური ხორბლის - 250 გ | <u>შაბათი</u><br>1. ქათმის ბულიონი - 450 გ<br>2. შილა ფლავი - 200 გ<br>3. ჩაი ლიმნით - 200 გ<br>4. პური ხორბლის - 250 გ |
| <u>კვირა</u><br>1. ვერმიშელის წვნიანი - 450 გ<br>2. მაწანის ფაფა - 250 გ<br>3. მოხარშული კვერცხი – 1ცალი<br>4. ხილი - 40 გ<br>5. პური ხორბლის - 250 გ | |

მომსახურების ფასი

| № | სასდილოთი მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა | ერთი ბენეფიციარის ერთჯერადი კვებით მომსახურების ფასი – 1 კვება–დღე (ლარი) | 2014 წლის განმავლობაში მომსახურების გაწევის დღეთა რაოდენობა | სულ 01.01.2014 –დან 14.01.2014–ის ჩათვლით პერიოდში გასაწევი მომსახურების ღირებულება (ლარი) 3.2X3.3X 3.4 | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 |
| 1 | 453 | 0,69 | 14 | 4375,98 | |

ხათუნა ბერძენიშვილი ----------

რეზო ალადაშვილი ----------

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

42414549020213

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

# რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N131233901

რეგისტრაციის თარიღი

25.11.2013 წ

ნოტარიუსი: ელენე ყიზილაშვილი
მისამართი: ქ.თბილისი, მ. კოსტავას ქ. 23
ტელეფონი: 995322995210; 99590411423

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის ნახვა შეუძლია, მოქმედების დასრულებიდან 24 საათის შესახებ) მიღება-გადამოწმება შეუძლია საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ხელმოწერილი

# სანოტარო აქტი

ორი ათას ცამეტი წლის თცდახუთ ნოემბერს მე, ნოტარიუს ელენე ფირცხალავას, რომლის სანოტარო პიური მდებარეობს მისამართზე, ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №23, მოწმეთა ხელმწერელობით და ქმედუნარიანობა პირის არასამწარმოო (არაკომერციული) იურიდიული პირი "ქალთა საქველმოქმედო ფონდი ეიტორია"-ს (რეგისტრირებული 26.02.1999 წელს, იურიდიული მისამართი: საქართველო, ქალაქ თბილისის რაიონში, ვაჟინის ქ. №16, საიდენტიფიკაციო კოდი: 206041709, მარეგისტრირებელი ორგანო: იუსტიციის სამინისტრო) პრეზიდენტმა ეიტორია მიქავამ (დაბადებული 29.09.1952 წელს ნალენჩიკში, მცხოვრები მისამართზე: ქ. თბილისი, რ. გვეტაძის ქ. №6, ბინა 18, პირადი №01012009146, პირადობის მოწმობა №12IB11412) თანახმად ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი "ქალთა საქველმოქმედო ფონდი ეიტორია"-ს შესახებ, მომზადებული ნებისმიერ რეგისტრის ტერიტორიულ სააგენტოს მიერ, რომელიც დაიბეჭდა ელ-ვერსიის შემქმნელია www.reestri.gov.ge ელექტრონული ნომერი 469285, ელექტრონული რეგისტრაციის ნომერი B12047458, ამონაწერის მომზადების თარიღი 10.04.2012 11:01:54.

მან განაცხადა, რომ მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან 2012 წლის 10 აპრილის ამონაწერის მიხედვით ნებისმიერი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი "ქალთა საქველმოქმედო ფონდი ეიტორია"-ს შესახებ არ შეცვლილა და მოხდა მისდამიანების შედგენა. ამის სანოტარო წესით დადასტურება მე დავადგინე მისი პირადობა ამის ბიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია.

მე შევადგინე წარმდგენარე მინდობილობა და წაუკითხე მას. ეს მან გაიგებინა მინდობილობის შინაარსი და მასზე ხელმოწერის საპარალელოდ შეადგინა. მან მკაფიოდ და ნათლად განაცხადა, რომ მინდობილობა ნებაყოფლობით გამოხატავს. თავისი რიგითი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი "ქალთა საქველმოქმედო ფონდი ეიტორია"-ს პრეზიდენტის ნებას და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი მას, რის შემდეგაც დადასტურდა ეს მინდობილობა სანოტარო წესით.

## მინდობილობა

ორი ათას ცამეტი წლის თცდახუთ ნოემბერს მე, ეიტორია მიქავამ, როგორც არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი "ქალთა საქველმოქმედო ფონდი ეიტორია"-ს პრეზიდენტმა წინამდებარე მინდობილობით ნინო კვარაცხელიას (დაბადებული 02.08.1983 წელს ზუგდიდში, პირადი № 19001029208) და რეზო ალადაშვილს (დაბადებული 10.04.1984 წელს ხაფანში, პირადი № 40001005894) ერთად და ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მივანიჭე შემდეგი უფლებამოსილება:

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი "ქალთა საქველმოქმედო ფონდი ეიტორია"-ს საქმიანობასთან დაკავშირებით ერთად და ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად იყოს ფონდი, როგორც ა(ა)ან "ქალთა საქველმოქმედო ფონდი ეიტორია"-ს, პრეზიდენტის სრულუფლებიანი წარმომადგენელები ყველა სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციაში.

2. ერთად და ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად დაიცვან ა(ა)ან "ქალთა საქველმოქმედო ფონდი ეიტორია"-ს ინტერესები მესამე პირებთან ურთიერთობის დროს. ასევე ა(ა)ან "ქალთა საქველმოქმედო ფონდი ეიტორია"-ს ინტერესებიდან გამომდინარე ერთად და ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად შეასრულონ ყველა ის მოქმედება, რომელიც უფლებაც განისაზღვრებოდა მიენიჭებოდა მაქს მე, როგორც ა(ა)ან "ქალთა საქველმოქმედო ფონდი ეიტორია"-ს პრეზიდენტს.

3. ერთად და ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მართონ და გამოიყენონ ა(ა)ან "ქალთა საქველმოქმედო ფონდი ეიტორია"-ს ნებისმიერ რაოდენობა ნებისმიერ ბანკში შეასრულონ ყველა სახის ნებისმიერი ოპერაცია (ანგარიშის შეტანა, გადარიცხვა, ვალდებულების [illegible] და სხვა), ანარიცხონ ანგარიშებ ბანკთან. მოაწერონ ხელი ხელშეკრულებებ ხელშეკრულებებს

4. ერთად და ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მონაწილეობა მიიღონ ნებისმიერ ორგანიზაციის მიერ გამოცხადებულ ტენდერში და წარადგინონ ნებისმიერი დოკუმენტაცია.

5. ერთად და ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად წარმოადგინონ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგადასახადო ინსპექციაში, მიიღონ (დალაგ [illegible] ნებისმიერ სახის დოკუმენტი, მიიღონ ნებისმიერი სახის ინფორმაცია.

6. ერთად და ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მიიღოს ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ა(ა)იპ "ქალთა საქველმოქმედო ფონდი ვიქტორია"-ს შესახებ.

7. ერთად და ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მოაწერონ ხელი ყველა შესაბამის დოკუმენტებს და შეუსდევადად შეასრულონ განთავსებულებით დადგენილი ყველა მოქმედება, რაც დაკავშირებული იქნება აღნიშნული დავალებების შესრულებასთან.

8. მათ უფლება არა აქვთ ამ მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილებანი გადასცენ სხვა პირებს.

9. მინდობილობა გაცემულია განუსაზღვრელი ვადით ერთი წლის ვადით და ძალაშია ორი ათას თოთხმეტი წლის ოცდაცამეტი ნოემბრის ჩათვლით.

მინდობილობა შედგენილია სამ თანაბარძალიანი ეგზემპლარად, რომელთაგან ორი ეკუთვნება მარწმუნებელს, ერთი შეინახება სანოტარო ბიუროში და დასამოწმებელი ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი "ქალთა საქველმოქმედო ფონდი ვიქტორია"-ს შესახებ, მომზადებული საჯარო რეესტრის ერთიანი საგაანგარიშო ბაზრ, რომელიც ფიზიკური პირ გვერდის მეშვეობით www.reestri.gov.ge. განაცხადის ნომერი 469288, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი B 12047458, ამონაწერის მომზადების თარიღი 10/04/2012 11:01:54

გადახდილია: სანოტარო მომსახურების ხარჯები – 10,00 ლარი, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის ხარჯების [illegible] დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდისების წესისა და მომსახურების [illegible] დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის №507 დადგენილების (29.12.2011წ.) 11-ე მუხლის, [illegible] – 1,80 ლარი, თანახმად საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 169-ე მუხლის; სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური – 2,00 ლარი (დღგ-ს ჩათვლით) თანახმად ფინანსთა [illegible] (29.12.2011წ.) 39-ე მუხლის, სულ გადახდილია: 13,80 ლარი (ცამეტი ლარი და თოთხმეტი თეთრი)

ვიქტორია [illegible]

# ქალაქ თბილისის მერია

## კრწანისის რაიონის გამგეობა

2179081
დრაფტი
30.12.2013

10-44/13364119

თბილისის მერია ირაკლი აბესაძე

ქ. თბილისის მერის მოადგილეს
ბატონ ირაკლი აბესაძეს

ბატონო ირაკლი,

მოგახსენებთ, რომ ელექტრონული ტენდერის საშუალებით ქ. თბილისის კრწანისის რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრები უმწეო მოქალაქეთა უფასო სასადილოებით მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადებული იქნა 6 (ექვსი) ტენდერი, აქედან 3 (სამი) ტენდერში (SPA N130026158; 130026174; 130026183) დაფიქსირდა რიგი ხარვეზები, რაც პრეტენდენტებს ეცნობათ სახელმწიფო შესყიდვების პროცედურების გათვალისწინებით, თუმცა არსებული ვითარება შეაფერხებს ტენდერებში გამარჯვებული პრეტენდენტების გამოვლენას და ტენდერით გათვალისწინებული მომსახურების (2014 წლის პირველი იანვრიდან ბენეფიციართა კვების) უზრუნველყოფას, ვინაიდან ვერ ესწრება 2013 წელს გამარჯვებულის გამოვლენა და მასთან ხელშეკრულების გაფორმება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე არსებულ სიტუაციას ვაფასებთ როგორც გადაუდებელ აუცილებლობას და გთხოვთ დაგვრთოთ ნება, რათა ქ. თბილისის კრწანისის რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრები უმწეო მოქალაქეთა უფასო სასადილოებით მომსახურება განხორციელდეს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტისა და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის" მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ერთი თვის ვადით (საკარაუდო ღირებულება ჯამში შეადგენს 23500 ლარს).

პატივისცემით,
თბილისის მერია / კრწანისის რაიონის გამგეობა
ქ. თბილისის რაიონის გამგებელი

ხათუნა ბერძენიშვილი

# ქალაქ თბილისის მერია

2180860
10-44/13364119
31.12.2013

თბილისის მერია / კრწანისის რაიონის გამგეობა
ხათუნა ბერძენიშვილი

ქალბატონო ხათუნა,

ქ. თბილისის მერიაში 2013 წლის 30 დეკემბერს შემოსული თქვენი #10-44/13364119 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ, ვინაიდან, ელექტრონული ტენდერის საშუალებით ქ. თბილისის კრწანისის რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრები უმწეო მოქალაქეთა უფასო სასადილოებით მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადებული იქნა 6 (ექვსი) ტენდერი, აქედან სამზე დაფიქსირდა რიგი ხარვეზები, რაც პრეტენდენტებს ეცნობათ სახელმწიფო შესყიდვების პროცედურების გათვალისწინებით, აგრეთვე, ვინაიდან, არსებული ვითარება აფერხებს ტენდერებში გამარჯვებული პრეტენდენტების გამოვლენას და ტენდერით გათვალისწინებული მომსახურების (2014 წლის პირველი იანვრიდან ბენეფიციართა კვების) უზრუნველყოფას და ვერ ესწრება 2013 წელს გამარჯვებულის გამოვლენა და ხელშეკრულების გაფომება, რის გამოც შექმნილია გადაუდებელი შესყიდვის განხორციელების აუცილებლობა `სახელმწიფო შესყიდვების შესახებ~ საქართველოს კანონის 101-ე მუხლის მე-3 პუნქტის `ბ~ ქვეპუნქტის და `გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის~ მე-3 მუხლის მეორე პუნქტის `ბ~ ქვეპუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად, მიზანშეწონილად ვთვლი, წერილში აღნიშნული მოქალაქეთა უფასო სასადილოებით მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით (2014 წლის 14 იანვრის ჩათვლით).

ამასთან, `სახელმწიფო შესყიდვების შესახებ~ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, პასუხისმგებლობა ამ კანონით და შესაბამისი ნორმატიული აქტებით დადგენილი წესებისა და ნორმების დაცვისათვის, შესყიდვების რაციონალური განხორციელებისათვის მთლიანად ეკისრება შემსყიდველ ორგანიზაციას.

პატივისცემით,

თბილისის მერია
ქ. თბილისის მერის მოადგილე ირაკლი აბესაძე

# ქალაქ თბილისის მერია

## კრწანისის რაიონის გამგეობა

2181315
06-44/13365489
31.12.2013

კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტო (-5454),
ქ.თბილისი, პეკინის ქ. 28

გაცნობებთ, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-$10^1$ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნტისა და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, ვიწყებთ ქ. თბილისი, კრწანისის რაიონში, ქვემო ფონიჭალის ტერიტორიაზე 227 (ორას ოცდა შვიდი); ფონიჭალის დასახელება 3 (საკადასტრო კოდი N01.18.13.024.027) პირველი სართულის ნაწილში 453 (ოთხას ორმოცდა ცამეტი) და კალა-ორთაჭალის ტერიტორიაზე 243 (ორას ორმოცდა სამი) უმწეო მოქალაქეების უფასო სასადილოებით მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პროცედურას გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

ამასთან, გიგზავნით ქ. თბილისის კრწანისის რაიონის გამგეობის 2013 წლის 30 დეკემბრის წერილსა (სარეგ. N10-44/13364119) და ქ. თბილისის მერიის 2013 წლის 31 დეკემბრის (სარეგ. N10-44/13364119) წერილის ასლებს.

დანართი: 2 (ორი) ფურცელი.

პატივისცემით,
თბილისის მერია / კრწანისის რაიონის გამგეობა
ქ. თბილისის რაიონის გამგებელი — ხათუნა ბერძენიშვილი